


საქართველოს ინტერნეტმმართველობის მე–7 ფორუმის ანგარიში

*თებერვალი 2022*

The Seventh Georgian Internet Governance Forum (GeoIGF) REPORT

*February 2022*



სარჩევი Contents


წინასიტყვაობა Introduction ..... 3

მოსამზადებელი აქტივობები Preparatory Activities ..... 5

ფორუმის გახსნა და მისასალმებელი სიტყვები Opening and Gretting notes ..... 6

ფართოზოლოვანი საქართველო Broadband Georgia Developements ..... 11

პანდემიით ინსპირირებული ინოვაციები და პერსონალური მონაცემების დაცვა ..... 16

Pandemic-Inspired Innovations and Personal Data Protection ..... 16

დეზინფორმაცია: გამოწვევები საქართველოს ინტერნეტ სივრცეში ..... 19

Disinformation: Challenges in the Internet Space of Georgia ..... 19

ციფრული წიგნიერება და მზაობა, სხვადასხვა სექტორების როლი ამ პროცესში ..... 24

Digital Literacy and Readiness: The Role of Various Sectors in this Process ..... 24

ინტერნეტ კონტენტის თვითრეგულირების ფარგლები ..... 28

Internet Content: Self-regulatory Framework ..... 28

ხელოვნური ინტელექტი: შესაძლებლობები და გამოწვევები ..... 31

Artificial Intelligence: Challenges and Opportunities ..... 31

ქართული ენა ინტერნეტ სამყაროში **Georgian Language in the Internet World** ..... 34

5G მზაობა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის როლი ქვეყნის განვითარებაში 5G Readiness and the Role of New Technologies in the Development of the Country ..... 39

ინტერნეტთან წვდომა და ხარისხის გამოწვევები; ფასი და არჩევანის თავისუფლება **Access to the Internet and Quality of Service: Price, Freedom of Choice** ..... 40

ვირტუალური მობილური ოპერირების დაბრკოლებები და განვითარების პერსპექტივა საქართველოში ..... 45

**Mobile Virtual Network Operator Challenges and Opportunities in Georgia** ..... 45

ფორუმის დახურვა ..... 50

Forum wrapup and closing remarks ..... 50

მონაწილეების და ჩართულობის ანალიზი და განაწილება დაინტერესებული ჯგუფების მიხედვით ..... 51

ბიუჯეტი Budget ..... 52




## წინასიტყვაობა

საქართველოს ინტერნეტ მმართველობის ფორუმს საფუძველი ჩაეყარა 2015 წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით გამართული პირველი ეროვნული ინტერნეტ მმართველობის ფორუმის ფარგლებში. ღონისძიება ინტერნეტ მმართველობის სფეროში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა და საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. ფორუმი (GeoIGF) მიზნად ისახავს ინტერნეტ მმართვლეობის განვითარების კუთხით წლის გამავლობაში მიღწეული პროგრესის წარმოჩენას, მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე საჯარო კონსულტაციებსა და განხილვებში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხელშეწყობას. პლატფორმა ხელს უწყობს სამთავრობო უწყებების თანამშრომლობას როგორც ბიზნეს, ისე არასამთავრობო სექტორთან, რამდენადაც გლობალური მიზნების მისაღწევად, აუცილებელია მთელი ქვეყნის დაინტერესებული წრეების პოზიციათა დაახლოება და კოორდინირებული მუშაობა. ღონისძიებას ყოველწლიურად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეებისა და ახალგაზრდა თაობის 200-მდე წარმომადგენელი ესწრება. ფორუმის საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა 2016 წლის სექტემბერში, აირჩა საორგანიზაციო კომიტეტი და კოორდინატორი.

## Introduction

The Georgian Internet Governance Forum as a platform was established in 2015 in frames of the first National Internet Governance Forum, supported by the Council of Europe. The event grew into one of the most significant in the field of Internet governance, gaining international acclaim. The forum's (GeoIGF) primary objective is to demonstrate progress made towards the development of Internet governance over the course of the year, as well as to involve stakeholders in public debates and discussions on significant issues. The platform supports government agencies' collaboration with both the private and non-profit sectors, to the degree that achieving global goals entails bringing together the perspectives of stakeholders from throughout the country and working together in a synchronized approach. Up to 200 representatives from local and international organizations, governmental and non-governmental sector representatives, academia, and the younger generation gather to attend the event annualy.

The initiative group of the Forum was founded in 2016, and the organizing committee and coordinator were elected. The second Internet Governance Forum was held in 2016, while the seventh Internet Governance Forum was held in December 2022. The information concering the mentioned events can be found at the forum's website - igf.ge.

2016 წელს ჩატარდა რიგით მეორე, ხოლო 2022 წელს დეკემბერში რიგით მე–7 ინტერნეტ მმართველობის ფორუმები. ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ფორუმის ვებ-გვერდზე - igf.ge.

ფორუმის წესდება ემყარება ტუნისის დღის წესრიგს საინფორმაციო საზოგადოებისთვის, ევროპის საბჭოს, ინტერნეტ საზოგადოებისა (ISOC) და ინტერნეტმმართველობის ფორუმის სამდივნოს რეკომენდაციებს და საუკეთესო პრაქტიკას. ფორუმის დღის წესრიგი შემუშავებულია მრავალმხრივი ჩართულობის მოდელზე, ითვალისწინებს ფორუმის ორგანიზებას მინიმალური დანახარჯებით, მაქსიმალური გამჭვირვალობისა და მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფით. ინტერნეტმმართველობის ფორუმი ემყარება ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობას, რაც გულისხმობს მთავრობის, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, სამეცნიერო – საგანმანათლებლო და ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ერთობლივ მუშაობას. ფორუმის ყველა მონაწილე თანაბარი დონის პარტნიორად მოიაზრება.

ფორუმის მასპინძელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ინტერნეტ საზოგადოება (ISOC-Georgia). ფორუმის ორგანიზატორია საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია (TOA). ფორუმის ინსტიტუციური პარტნიორია ევროპის საბჭო. ფორუმის მხარდამჭერები არიან საერთაშორისო ორგანიზაციები: ინტერნეტ საზოგადოება (ISOC), მინიჭებული სახელებისა და ნომრების ინტერნეტ-კორპორაცია (ICANN) და RIPE ქსელის საკოორდინაციო კომიტეტი (RIPE NCC). ფორუმის ტექნიკური მხარდამჭერია სამეცნიერო–საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია „გრენა".

The Charter of the Forum is based on the recommendations of: the United Nations Internet Governance Forum (IGF), the IGF secretariat, Council of Europe, the Internet Society (ISOC), the Tunis Agenda and the best practice and implies the multilateral engagement model of development of the Forum: organization with least expenses and highest openness, as well as maximum participation from all parties.

The national Internet Governance Forum of Georgia is based on the cooperation of all stakeholders, bringing together five interested groups: government, private sector, civil society, the experts of scientific and educational and technology fields as well as the representatives of international organizations. All the participants are taking part in the forum as equal partners.

The hosts of the events are Ministry of Ecnomoy and sustainable Development of Georgia and Georgian Communication Comission, also ISOC Georgia.

Forum's institutional partner is the Council of Europe, also The Réseaux IP Européens Network Coordination Centre is the Regional Internet Registry for Europe (RIPE NCC) and The Internet Corporation for Assigned Names and Numbers (ICANN). In kind supporter of the forum is Georgian Research and Educational Networking Association GRENA. The forum is coordinated by the Telecom Operators Association of Georgia (TOA).

## მოსამზადებელი აქტივობები

2021 წელს მოწვეულ ფორუმის წევრების კრებებზე შეჯერდა შემდეგი საკითხები: ფორუმის შესაბამისი აქტივობები და აქტვობების დროის პერიოდი, ფორუმის პროგრამული და საორგანიზაციო კომიტეტის არჩევნები, კოორდინატორის არჩევნები, ფორუმის ჩატარების ფორმატი და თარიღი, დღის წესრიგის საკითხების შეგროვება, ბიუჯეტის აქტივობების განსაზღვრა, დღის წესრიგის დამტკიცება, სესიების კორდინატორიების და თანაკორდიანტორების შერჩევა და სხვა დაკავშირებული აქტივობები.

GeoIGF2021 პროგრამული კომიტეტი ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს კომუნიკაციის კომისია – ნინა გრძელიშვილი; ინტერნეტ საზოგადეობის საქართველო – რატი სხირტლაძე; ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო – ეკა ყუბუსიძე, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი – ზვიად გიბსონია; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი – თეონა ტურაშვილი; შპს "SystemNet" – ხათუნა ინჯია და საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის ოფისი – გიორგი გიორგანაშვილი. პროგრამულ კომიტეტს ასევე შემოუერთდა გიორგი იაშვილი, საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის დახმარებით მოხდა ფორუმის რებრებდინგი, კერძოდ გადახალისდა და არსებითად შეიცვლა ფორუმის ლოგო, ფერები და შეიქმნა/განახლდა 30–მდე ბრენდინგის მასალები, მათ შორის ის საშუალებები რომელიც საჭირო იყო ჰიბრიდულ მოდელში ფორუმის სათანადო დონეზე ჩასატარებლად.

დღის წესრიგის შესადგენად გამოქვეყნებული ფორმა დაიხურა ორი თვის ვადაში და შეავსო 89 ადამიანმა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფიდან, რომელიც პროგრამული კომიტეტის მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბდა 10 საკითხად და

## Preparatory Activities

In 2021 GeoGIF members had few meeting and were agreed upon at the 2021 Forum Meetings: Relevant Forum Activities and Activities implementaiton Periods, Forum Program and Organizing Committees Elections, Coordinator Elections, Forumat of the forum and the Date, call for a topics and creation of the agenda, budget of the activities, approval of the final agenda, session Approval and selecting coordinators and other related activities.

GeoIGF2021 Programming Committee were elected members from the different stakeholder groups:

- Communication Commission of Georgia, Ms. Nina Grdzelisvili
- Internet Society (ISOC) Georgia chapter, Mr. Rati Skhirtladze
- Ministry of Economy and Sustainable Development, Ms., Eka Kubusidze
- Business and Technology University, Mr. Zviad Gibsonia
- Institute for Developement of Freedom of Information, Ms. Teona Turashvili
- LTD "SystemNet", Ms. Khatuna Injia
- State Inspector's office of Georgia, Mr. Giorgi Giorganashvili
- Giorgi Iashvili CEO, InfoSEC Assocation of Georgia (GISA).

It is also important to highlight that the IG forum was rebranded with the support of the Council of Europe Georgia Office, in particular the forum logo, colors and up to 30 branding materials were created and updated, including the tools needed to maintain the forum in a hybrid model.

მათი აქტუალურობის და სხვადასხვა გარემოებების გამო აისახა 2 დღიან დღის წესრიგში.

The calls for issues was closed in two month and the form was completed by 89 people from various stakeholders, which was eventually formulated by the Program Committee into 10 items and reflected in the 2-day agenda due to their topicality and various circumstances.







## ფორუმის გახსნა და მისასალმებელი სიტყვები

## Opening and Gretting notes

2021 წლის 30 ნოემბერს და 1 დეკემბერს, თბილისის ტექნოპარკში ჩატარდა რიგით მეშვიდე საქართველოს ეროვნული ინტერნეტმმართველობის ფორუმი. ფორუმის გახსნას მოდერირება გაუწია ფორუმის კოორდინატორმა და საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის (TOA) გამგეობის თავმჯდომარემ ბატონმა უჩა სეთურმა. ფორუმი გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ – გურამ გურამიშვილმა, რომელიც მიესალმა ფორუმის მონაწილეებს და ისაუბრა სიახლეებზე და მიღწევებზე რომელიც შესრულდა 2021 წელს და დაგეგმილია 2022 და ასევე გრძელვადიან პერიოდში

The seventh Georgian National Internet Governance Forum – GeoIGF2021 was held in Tbilisi Technopark on November 30 and December 1, 2021. The opening of the forum was moderated by the Forum Coordinator and

Chairman of the Board of the Georgian Telecommunications Operators Association (TOA) Ucha Seturi. The forum was opened by the Deputy Minister of Economy and Sustainable Development of Georgia, Guram Guramishvili, who welcomed the participants and summarised the novelties and achievements in 2021 and plans for 2022 and beyond.



შემდგომ მისასლმებელი სიტყვა გადაეცა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრს ეკატერინე იმედაძეს. მისი მიმართვის შესაბამისად პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ ძალიან მკაფიოდ დაგვანახა სატელეკომუნიკაციო სფეროს სტრატეგიული მნიშვნელობა და ცხადყო, რომ სატელეკომუნიკაციო სერვისები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. როგორც აღმოჩნდა, უფრო მეტად განუყოფელიც კი, ვიდრე წარმოგვედგინა. შესაბამისად, ახალ რეალობაში ტელეკომუნიკაცია გასცდა სტანდარტული მომსახურების დეფინიციას და ის ქვეყნისთვის სტრატეგიულ კრიტიკულ ინფრასტრუქტუად იქცა.

The floor was then given to Georgian Communications Commission (ComCom) Commissioner Ekaterine Imedadze for her welcoming remarks. According to her, a pandemic reality has clearly shown us the strategic importance of telecommunications and the integral role that telecommunication services play in our lives. It has turned out that these services are an integral part of lives, more than we imagined them to be. In the new reality telecommunications have therefore surpassed the definition of standard services and they have become a strategic/critical infrastructure for the country.

გამომსვლელის სიტყვით სფეროს მარეგულირებლისთვის, ყოველთვის ნათელი იყო, რომ ტელეკომუნიკაცია ზუსტად ის სფეროა, რომელიც უწყვეტ განვითარებას, ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას მოითხოვს, რაშიც კომუნიკაციების კომისიას, სექტორს და შესაბამის ჩართულ მხარეებთან ერთად უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ეკონომიკა სულ უფრო მეტად ციფრული ხდება, მნიშვნელოვანია სატელეკომუნიკაციო კავშირი კიდევ უფრო უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გავხადოთ. სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია უსაფრთხო ციფრული მომსახურებების უზრუნველყოფაში, თუმცა ასევე დიდია სფეროს მოთამაშეების პასუხისმგებლობაც. დარგის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკასთან ერთად აუცილებელია სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდეთ მჭიდრო თანამშრომლობა, მომხმარებლისთვის ხარისხიანი, ინოვაციური და

ხელმისაწვდომი მომსახურებების უზრუნველსაყოფად. უმნიშვნელოვანესია სექტორის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობაც, რაც ნიშნავს იმას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბარიერები უნდა მოიხსნას. უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ინოვაციური, ციფრული ბიზნეს მოდელების სტიმულირებით. ასეთი, მიდგომით საქართველოში რეგულირების არსებული მოდელი სამაგალითო უნდა გახდეს.

According to the speaker, it was always clear for the regulatory authority that telecommunications are the field that require constant development, introduction of innovations and contemporary technologies, in which the Communications Commission plays a very important role alongside relevant stakeholders. In view of the increasing digital transformation of the global economy, it is important to ensure improved safety and accessibility of telecommunications. While the state plays a crucial role in providing digital services, major players in this field also have an important responsibility. In addition to the state policy for development of telecommunications, close cooperation between different representatives of the sector is important to ensure quality, innovative and accessible services for users. Accessibility of the sector infrastructure is crucial, meaning that barriers should be removed for small and medium-sized enterprises. Innovative, digital business models should be stimulated to support SMEs. Such approach will turn the existing regulatory model in Georgia into an exemplary one.

*შემდეგმა გამომსვლელმა პეტრ მიკისკამ - ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ისაუბრა იმ მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ რომელშიც ჩართული იყო მისი წინამორბედი და ჩართულია დღესაც საელჩო. ბატონი ელჩი მიესალმა გამომსვლელებს და შეეხო ინტერნეტში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობას. ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩმა საქართველოში, ბატონმა პეტრ მიკისკამ ასევე ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის განვითარების სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ქართველ პარტნიორებთან. მან ასევე აღნიშნა, რომ პოლიტიკის დოკუმენტი და კანონმდელობა დაფუძნებული უნდა*



*იყოს ადამიანის ძირითად უფლებებზე და ინოვაციებზე.*

*Next speaker, Petr Mikyska, Ambassador of the Czech Republic to Georgia, outlined the projects that have already been implemented by the Czech Embassy in the field of internet and mentioned that the latter will continue its active involvement in this main area.Mr. Mikyska highlighted the importance of protecting human rights online, as well as the need of cooperation with the Georgian stakeholders, to further develop the field of Artificial Intelligence. He also noted that relevant policy documents and legislation should be prepared in compliance with the basic human rights and innovations.*

ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნატალია ვუტოვამ, მოკლედ ისაუბრა ინტერნეტ ფორუმის მნიშვნელობასა და მის მხარდაჭერაზე ევროკავშირის მიერ. მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში ინტერნეტზე წვდომის უფლების ჩანაწერი მსოფილიოს რამოდენიმე ქვეყანაში არსებობს და მოხარულია, რომ მათ რიგებს საქართველოც შეუერთდა. მისი აზრით, სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს ქვეყანაში ინტერნეტიზაციის მნიშვნელობას. ქალბატონმა ნატალიამ აღნიშნა, რომ ინტერნეტით უზრუნვეყოფა საკმაოდ რთული ამოცანაა და სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება აღნიშნული ფორუმი.

*Natalia Voutova, Head of the Council of Europe Office in Georgia, talked about the role of the Internet Governance Forum and outlined the reasons of the Council of Europe's support to the internet development within the country. Ms. Voutova was pleased to note that Georgia has recently become one of the few countries across the globe where the right to access to*

*internet has been enshrined in the Constitution, highlighting the importance given to the field of internet by the Georgian government. According to her, ensuring the safety, as well as the accessibility to the internet are the complex tasks and the Forum can be considered as an effective platform for addressing those problematic issues. She encouraged the public and private institutions to use the event for raising their voice on the internet-related needs, and ended her speech with positive remarks about the Memorandum of Cooperation to be signed between the Forum and the Sector Economy and Economic Policy Committee of the Parliament of Georgia. Ms. Voutova noted that the Council of Europe, as a facilitator institution, is more than happy for having such an important stakeholder involved in the Forum's upcoming activities.*



*ანრიეტ ესტერიუსენმა - გაეროს გლობალური ინტერნეტმმართველობის ფორუმის გამგეობის თავმჯდომარემ, მსოფლიო კიბერსფეროს სტაბილურობის კომისიონერმა მისასალმებელ გამოსვლაში აღნიშნა, რომ ინტერნეტი ფუნდამენტური ძალაა კომუნიკაციების და ტექნიკური განვითარების სფეროში და ძნელად საპოვნელია ქვეყანა, რომელიც საპირისპიროს ფიქრობს. მან ისაუბრა IGF-ის მნიშვნელობაზე, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე გლობალურად. აღნიშნა, რომ ეს არ არის მხოლოდ ღონისძიება, რადგან იგი ამკვიდრებს გონივრულ და ნაყოფიერ თანამშრომლობას ფორუმის მონაწილეებს შორის.*

*შორის.*



*Chair of the UN Global Internet Governance Forum and Commissioner for the Global Commission on the Stability of Cyberspace, Antriette Esterhuysen noted in her welcoming remarks that Internet is a fundamental force in the field of communications and technological development and it is hard to find a country that thinks otherwise. She talked about the importance of IGF at the national as well as the global level, adding that it is not just an event because it encourages reasonable and fruitful cooperation among the Forum participants.*

გამოსვლის ბოლოს, ისაუბრა სხვა ქვეყნების IGF გამოცდილებლაზე, სადაც აღნიშნა, პოლონეთში გამართულ გლობალური ინტენრეტმართველობის ფორუმზე, რომელიც ექსპერიმენტალურია. ასევე, ისაუბრა იმ მნიშვნელოვან თემებზე, რომელებიც მისი აზრით განიხილება საქართველოს 2021 წლის ინტერნეტმმართველობის ფორუმზე.

She finished her remarks by highlighting IGF experience of other countries, noting that Poland hosted UN Internet Governance Forum, which is an experiment in global governance and it used a hybrid approach. She also touched on the important topics to be discussed during the Georgian Internet Governance Forum 2021.



ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) უფროსმა ვიცე პრეზიდენტმა, ქალბატონმა ჯეინ კოფინმა ისაუბრა ინტერნეტ კავშირის თვალსაზრისით განხორციელებულ ცვლილებებზე. აღნიშნა, რომ საქართველო ერთ-ერთი მაგალითია სხვა ქვეყნებისთვის, როგორ უნდა აეწყოს საკომუნიკაციო ქსელები და როგორი უნდა იყოს მოსახლეობის ჩართულობა ამ მიმართულებით. მან ისაუბრა მაღალმთიანი რაიონების ინტერნეტიზაციაზე და აღნიშნა, თუ რა დადებითი ცვლილებები გამოიწვია მან. გამოსვლის ბოლოს, ქალბატონმა ჯეინმა განაცხადა, რომ ყველას უნდა ჰქონდეს ინტერტეზე წვდომა, განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა. *ამ მიმართულებით კი კიდევ ერთხელ აღნიშნა საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები და მიღწეული წარმატებები. მან აღნიშნა რომ ამ ეტაპზე დაწყებულია ორი მნიშვნელოვანი პროექტი და ელოდება მათ წარმატებით დასრულებას.*

Senior Vice President at Internet Society (ISOC), Jane Coffin talked about changes in the Internet connection, noting that Georgia sets an example for other countries as to how communication networks should be set up and what public involvement should look like in that regard. She talked about internetization of highland regions and positive changes produced by it. She finished her remarks by saying that everyone should have access to Internet, irrespective of their social or economic status. In that regard, she noted once more the positive steps made by Georgia and the success it has achieved, adding that she is looking forward to successful completion of two important projects that are currently underway.

მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ, ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტსა და ინტერნეტმმართველობის ფორუმს შორის. პარლამენტის მხრიდან ხელი მოაწერა ქალბატონმა ეკა სეფაშვილმა, ხოლო ფორუმის მხრიდან ბატონმა უჩა სეთურმა.

*Following the welcoming remarks, the Memorandum of Understanding was signed between the Sectoral Economic and Economic Policy Committee of the Parliament of Georgia and the Internet Governance Forum. The MoU was signed by Ms. Eka Sepashvili on behalf of parliament and Mr. Ucha Seturi on behalf of the Forum.*






**ეკა ყუბუსიძემ, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა (სესიის მოდერატორი),** ფართოზოლოვან ინტერნეტინფრასტრუქტურის განვითარებაზე ისაუბრა. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მნიშვნელობა, ისაუბრა იმ პროექტებსა თუ სამომავლო გეგმებზე, რომლებიც საერთაშორისო პარტნიორებისა თუ დონორების მონაწილეობით წარმატებით განხორციელდა ან ახლო მომავალში განხორციელდება. ქალბატონმა ეკამ, ხაზი გაუსვა საქართველოს ციფრული ჰაბის და Data ცენტრის ათვისების პოტენციალს და თანამშრომლობას ისეთ კომპანიებთან როგორიცაა Facebook, Instagram, Amazon და სხვა. გამოსვლის ბოლოს, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობა ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე.

**Eka Kusabidze, Head of Communications, Information and Modern Technologies Department (session moderator)** talked about the development of broadband internet infrastructure. In her remarks she underlined the importance of high-speed internet, discussed projects or future plans that have been implemented successfully with involvement of international partners and donors or will be implemented in the future. Ms. Kusabidze underlined the potential of developing a digital hub and a data centre in Georgia and partnership with companies like Facebook, Instagram, Amazon and others. Lastly, she noted that they are working with the World Bank to develop digital economy and information society development strategy.




**ოუფენ ნეტის დირექტორმა,** ქალბატონმა **მარიამ სულაბერიძემ,** მადლობა გადაუხადა ფორუმის ორგანიზატორებს და მოკლედ ისაუბრა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ. მან საზოგადოებას განხორციელებული და სამომავლო პროექტები გააცნო. ასევე, აღნიშნა, რომ პროექტი “Login Georgia” მოიცავს როგორც ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ასევე პროექტის შემადგენელი ნაწილია „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც მიზნად ისახავს ციფრული ეკონომიკისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, ინტერნეტის გამოყენების პოპულარიზაციასა და ციფრული

ჩართულობის ხელშეწყობას სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. მან ასევე ისაუბრა "Login Georgia-ს"-ს ფარგლებში მიმდინარე აქტივობებსა და საბოლოო მიზნებზე. გამოსვლის ბოლოს, ქალბატონმა მარიამმა საზოგადოებას გააცნო 2025 წლამდე ჩასატარებელი სამუშაოები, რომლებიც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებული სამიზნე გეოგრაფიული არეალების ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურით დაფარვას გულისხმობს.

**Open Net Director Ms Mariam Sulaberidze** thanked the Forum organizers and provided a brief overview of the state program for universal internetization currently ongoing in Georgia. She summarised projects that have been implemented or will be implemented in the future. She also noted that Login Georgia project entails construction of broadband infrastructure, as well as „Digital support program", which is part of the project aiming to create an enabling environment for digital economy, promote use of Internet and encourage digital involvement among rural population. She also talked about ongoing activities of Login Georgia and its final goals. She finished her remarks by introducing the works that need to be implemented by 2025, to ensure that nationwide target areas are covered by fiber-optic infrastructure.

**საქართველოს კომუნიკაციების კომისიის წევრმა**, ქალბატონმა **ეკატერინე იმედაძემ** ისაუბრა საქართველოს ინტერნეტ ბაზრის პერსპექტივებზე და მარეგულირებელი კომუნიკაციის კომისიის როლზე ქვეყნის ფართოზოლოვანი სტრატეგიის განვითარებაში. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პანდემიამ და პოსტპანდემიურმა ვითარებამ სრულიად ახალი სტანდარტები დააწესა ინტერნეტ სამყაროში. ციფრული ტრანსფორმაციის დაჩქარების თვალსაზრისით, მან გამოყო ოთხი ძირითადი მიმართულება, ესენია: ინფრასტრუქტურა, ხელმისაწვდომობა, ცნობიერების ამაღლება და ციფრული ცნობიერება, როგორც ეკონომიკური სარგებლის მიღების საფუძველი. გამოსვლის ბოლოს, მან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა ფართოზოლოვანი ინტერნეტიზაცის მიმართულებით და ხაზი გაუსვა ქვეყნის პოტენციალის რეგიონში პირველობასთან დაკავშირებით.

**ComCom Commissioner Ms Ekaterine Imedadze** talked about prospects of Georgian internet market and the role of ComCom in the development of Georgia's broadband strategy. In her speech she noted that the pandemic and post-pandemic situation have introduced brand new standards in online world. With regards to expediting digital transformation, she outlined the following four areas: infrastructure, accessibility, raising awareness and digital awareness as the basis for receiving economic benefits. She finished her remarks by outlining future plans for broadband internetization and underlining Georgia's potential to be a leader in the region



**"ახალი ქსელების" და "სისტემ ნეტის" გენერალურმა კონსულმა**, ქალბატონმა **ხათუნა ინჯიამ** საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე ისაუბრა. ფართოზოლოვანი ინტერნეტიზაციის მიმართულებით, იგი მიიჩნევს, რომ ასოცირების ხელშეკურილების ის რეგულეციები, რომლებიც უშუალოდ კომუნიკაციებს ეთმობა, ასევე, ევროპარლამენტის მიერ მიღებული დირექტივა, "ევროპის ელეტრონული კომუნიკაციების კოდექი" (კოდა), არ არის ქართულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში და აუცილებლად

უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ამის გამოსასწორებლად. მისი აზრით, საკონსტიტუციო ცვლილებები ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ინვესტიციების მოზიდვას და სხვადასხვა პროექტების განხორციელებას.

**Akhali Kselebi and System Net Consul General Ms Khatuna Injia** talked about the importance of introducing legislative amendments in Georgia. With regards to broadband internetization, she believes that the national legislation is not in compliance with regulations of the Association Agreement that deal with communications as well as Directive of the European Parliament and of the Council establishing the European Electronic Communications Code. It is therefore necessary to make meaningful steps to address this problem. In her opinion, constitutional changes will help attract new investments in Georgia and implement various projects.

საქართველოში **ევროკავშირის წარმომადგენელმა**, ბატონმა **პიტერ დანისმა** აღნიშნა, საქართველოს და ევროკავშირის საინტერესო თანამშრომლობა. მან ხაზი გაუსვა ივლისში მიღებულ ეკონომიკის და ინვესტიციების გეგმას, რომელიც საქართველოს ეკონომის ზრდას და ციფრული ჰაბად გადაქცევის პროცესს უწყობს ხელს. ბატონმა პიტერმა, ისაუბრა ევროკავშირის ღიაობაზე საქართველოსთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს ისეთ პროექტებს, როგორებიცაა: ინფრასტრუქტურის განვითარება, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება და სხვა. გამოსვლის ბოლოს მან ისაუბრა, როგორც სახელმწიფო სერვისების, ისე კერძო სექტორის გაციფრულების აუცილებლობასა და სახელმწიფოს მხრიდან მათ მხარდაჭერაზე. გამოსვლის ბოლოს, აღნიშნა, რომ ისეთ ადგილებში სადაც კომერციული ინტერესი ნაკლებია, ინტერნეტიზაცია სახელმწიფომ უნდა განახორციელოს.

**Representative of EU Delegation Georgia, Mr. Peter Danis** underlined the interesting cooperation between Georgia and the EU. He especially focused on the economy and investments plan adopted in July, which will encourage Georgia's economic growth and help it become a digital hub. Mr. Danis spoke about openness of the EU for Georgia and noted that World Bank supports projects for development of infrastructure, internet accessibility, raising public awareness, etc. He ended his speech by underlining the importance of digitalisation of both public and private services and the state's support in that regard. According to him, in places with fewer commercial interest, the state should take the lead in internetization.

**ევროპული მთავრობისა და მარეგულირებელი საკითხების მიმართლების** დირექტოორმა **დავიდ ფრაუჩმა,** ვრცლად ისაუბრა IXP-ები შესახებ. მან განაცხადა, რომ ისინი კავშირს ამყარებენ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებთან და მომხმარებლებთან. ბატონმა დავიდმა აღნიშნა, რომ IXP-ების ერთადერთი საჭიროება არის იმის ცოდნა თუ რომელი ოპერატორი რას ყიდის და როგორ შეიძლება მოიხმარონ ეს სერვისები. მან მოკლედ ისაუბრა ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბების პროექტზე და განაცხადა, რომ საქართველოს შეუძლია ინდიკატორის როლი შეასრულოს ბაზარზე. გამოსვლის ბოლოს, მოკლედ შეაჯამა გასული წლის საქმიანობა და დაგეგმილი პროექტები, რომელთა შორისაა IXP-ებისა და სამშენებლო ბაზრის განვითარება, უსაფრთხოების საკითხები და სხვა.

**David Frautschy, Director for European Government and Regulatory Affairs at Internet Society**, discussed IXPs in detail. According to him, they establish connections both with international and local organizations and consumers. According to Mr. Frautschy, the only need that IXPs have is knowing which operator sells what and how they can use these services. He briefly touched on the digital hub project and said that Georgia has the potential to play the role of a benchmark on the market. He ended his speech by briefly summarising past year's work and planned projects, including development of IXPs and construction market, safety issues, etc.

**ციფრული განვითარების სპეციალისტმა** ბატონმა **ჰიმატ სინქხ სანდუმ** მადლობა გადაუხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფართოზოლოვანი სტრატეგიის შემუშავების და ინფრასტრუქტურის გაზიარების კანონპროექტისთვის. მან ისაუბრა კერძო ოპერატორების როლზე პანდემიის პერიოდში, რადგან მათ შეძლეს დამატებითი ხარჯების გარეშე ინტერნეტ კავშირის შენარჩუნება. ბატონმა ჰამიტმა ხაზი გაუსვა საქართველოს წარმატებულ პროექტებს და აღნიშნა, რომ საქართველოს ციფრულ ჰაბად ჩამოყალიბებას მისი გეოგრაფიული მდებარეობა უწყობს ხელს. მისი აზრით, ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია კერძო სექტორის დაინტერესება და ინვესტიციების მოზიდვა, მსოფლიო ბანკი კი მზადაა ყველა დაინტერესებული მხარე ჩართოს აღნიშნულ პროცესში.

**Digital development specialist, Mr. Himmat Singh Sandhu** thanked the Ministry of Economy and Sustainable Development for elaborating the broadband strategy and the draft law on infrastructure sharing. He discussed the role of private operators during the pandemic, as they were able to maintain internet connectivity without additional costs. Mr. Sandhu underlined successful projects in Georgia and noted that owing to its geographic location, Georgia has the potential to become a digital hub. According to him, to achieve this goal it is important to interest private sector and attract investments, while the World Bank is ready to involve all stakeholders in this process. The first question concerned planning of trainings for local civil servants about broadband internetization. The person asking the question wanted to know what kind of strategy has been elaborated in that regard.

პირველი კითხვა ეხებოდა ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მოხელეთა სასწავლო ტრენინგების დაგეგმვას ფართოზოლოვანი ინტერნეტიზაციის მიმართულებით, კითხვის ავტორს აინტერესებდა, რა სახის სტრატეგიაა შემუშავებული აღნიშნულთან დაკავშირებით?

მოცემულ კითხვას ქალბატონმა ეკა ყუბუსიძემ უპასუხა. მან განაცხადა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში ბევრი ტრენინგი იმართება არა მხოლოდ ამ მიმართულებით. მან ასევე აღნიშნა, რომ როდესაც ეკონომიკის სამინისტრო დაიწყებს MBDS-ის ფარგლებში მოსახლეობაში ციფრული უნარების ამაღლებას, ეს აუცილებლად იმოქმედებს თვითმმართველ ორგანოებზე. მეორე შეკითხვა საბითუმო ინტერნეტის ფასებს და გიგაბიტიან კავშირზე გადასვლას ეხებოდა, რომელსაც ქალბატონმა ეკატერინე იმედაძემ უპასუხა. მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია და საბითუმო დაშვებაზე ფასების ლიბერალიზაცია მიმდინარეობს. მან ასევე განაცხადა, რომ დღის წესრიგშია მცირე და საშუალო მოთამაშეების მოკვლევა არა მხოლოდ საფასო ხელმისაწვდომობის მიმართულებით. მესამე კითხვის ფორმულირება შემდეგი იყო: ინტერნეტიზაციის დაჩქარებისთვის და ოპერატორების დაფარვის სანაცვლოდ რატომ არ სთავაზობს სახელმწიფო ოპერატორებს წამახალისებელ საგადახდო შეღავათებს? მოცემულ შეკითხვას ქალბატონმა ეკატერინე ყუბუსიძემ

Ms Eka Kusabidze responded to the question and said that many trainings are delivered in local self-governments, including in this area. She also mentioned that when the Ministry of Economy starts its initiative to improve digital skills among population within MBDS, this will certainly have a positive impact on self-governments.

Another question concerned wholesale tariffs for Internet and moving to a Gigabit connection. Ms Ekaterine Imedadze responded to this question by saying that ComCom has started working on this issue and price liberalisation for wholesale access is ongoing. According to her, small and medium-size players will be studied, including with regard to pricing accessibility.

The third question was formulated the following way: for expediting internetization and in exchange for coverage of operators, why isn't the state incentivizing state operators with tax benefits?

Ms Ekaterine Kusabidze responded that with involvement of European experts and the World Bank they made a decision to create Opennet project, because it would serve as a backbone for business operators, for them to deliver their service to end users. Ms. Kusabidze noted that in places where commercial interest was low, the state ensured internetization.

უპასუხა. მისი განცხადებით, ევროპელ ექსპერტებთან და მსოფლიო ბანკთან ერთად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეემუშავებინათ ე.წ. Opennet-ის პროექტი, რადგან ეს ერთგვარი ხერხემალი ყოფილიყო ბიზნესოპერტორებისთვის, რომ ბოლო მომხმარებლამდე მიეტანათ სერვისი. ქალბატონი ეკამ აღნიშნა, რომ იმ ადგილებში სადაც ბიზნესი არ იყო დაინტერესებული, სახელმწიფომ უზრუნველყო ინტერნეტიზაციის პროცესი.ნებისმიერ ღონისძებაში მიიღოს მონაწილეობა.

მეოთხე კითხვის ავტორს აინტერესებდა თუ რატომ არ აწყობს ეკონომიკის სამინისტრო და მარეგულირებელი საბჭო ტელეკომუნიკაციის სფეროში არსებულ პრობლემებზე საჯარო შეხვედრებს? მოცემულ შეკვითხვასაც ქალბატონმა ეკა ყუბუსიძემ უპასუხა და აღნიშნა, რომ სამინისტრო ღიაა ყველასთვის და თვეში მინიმუმ ერთხელ ატარებეს შეხვედრას ტელეკომ ოპერატორებთან. ქალბატონმა ეკამ განაცხადა, რომ ნებისმირიერი საკანონმდებლო ცვლილების თუ ახალ სტრატეგიაზე მუშაობის დროს, ყველა ოპერატორი ჩართულია პროცეში. ასევე, მზადაა ამ მიმართულებით ჩატარებულ

Another person wanted to know why the Ministry of Economy and the regulatory authority aren't initiating public meetings on problems that exist in the field of telecommunications. Ms Eka Kusabidze responded that the Ministry is open for everyone and it holds meetings with telecommunications operators at least once a month. Ms Kusabidze also said that any new strategy or legislative amendment is elaborated with involvement of

უჩა სეთური, საქართველოს სატელეკომუკაციო ოპერატორების ასიცაციის გამგეობის თავმჯდომარე, ფორუმის კორდინატორი, სესიის რეპრორტერი. აღნიშნულ სესიაზე გამოითქვა შემდეგი საკვანძო მიმართულებები/მესიჯები:

- 2022–2025 წელზში კვალვ მაღალპრიორიტეტულია ფართოზოლოვან ინტერნეტინფრასტრუქტურის განვითარება.
- გამოიკვეთა ქვეყნის როგორც რეგიონული ციფრული ჰაბის და Data ცენტრის ათვისების მიმართულებით.
- მიმდიანრეობს მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით ციფრული ეკონომიკის და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიის შემუშავება.
- 2025 წლამდე უნდა დასრულდეს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბიჭკოვანი ინფრასტრუქტურით დაფარვა, 2022 წელს მოხდება რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ოპტიკური მაგისტრალით დაკავშირება;
- საქართველოს კომუნიკაციების კომისია გამოყოფს ოთხი ძირითადი მიმართულებას: ინფრასტრუქტურა, ხელმისაწვდომობა, ცნობიერების ამაღლება და ციფრული ცნობიერება როგორც ეკონომიკური სარგებლის მიღების საფუძველი.
- მიმდიანრეობს ევროპარლამენტის და საბჭოს მიერ მიღებული ახალი რეგულაციების შესწავლა მათი ქართულ რეალობაში იმპლემენტაციის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ინვესტიციების მოზიდვას და სხვადასხვა პროექტების განხორციელებას.
- 2022 წლიდან აქტიურ ფაზაში გადადის საქართველოს და ევროკავშირის თანამშრომლობა, კერძოდ, ეკონომიკის და ინვესტიციების გეგმის რეალიზაციის , ინფრასტრუქტურის განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის, ცნობიერების ამაღლება და სხვა მიმართულებით.

- გამოსვლისას ხაზი გაესვა, როგორც სახელმწიფო სერვისების, ისე კერძო სექტორის გაციფრულების აუცილებლობას და სახელმწიფოს მხრიდან მათ მხარდაჭერაზე.
- ხაზი გაესვა ასევე IXP-ის ამოქმედების მნიშვნელობას 2022 წლიდან.

Ucha Seturi, Chairman of the Board of the Georgian Telecommunications Operators Association (TOA), Forum Coordinator, session reporter. Main points/key messages expressed during the session:

- In 2022-2025, development of broadband internet infrastructure remains a priority;
- The potential of turning Georgia into a regional digital hub and data centre has been identified;
- Digital economy and information society development strategy is elaborated in partnership with the World Bank;
- It is expected to achieve nationwide fiber-optic infrastructure coverage in Georgia by 2025. Racha, Lechkhumi and Kvemo Svaneti will be connected with the fiber-optic cable in 2022;
- ComCom will focus on the following four areas: infrastructure, accessibility, raising awareness and digital awareness as the basis for receiving economic benefits;
- New regulations adopted by the European Parliament and the Council will be studied with the aim of implementing them in the Georgian reality, in order to attract new investments and implement various projects;
- Beginning from 2022, cooperation between Georgia and the EU will be entering an active phase in the following areas: realisation of economy and investments plan, infrastructural development, internet accessibility, awareness raising, etc.
- During his speech, Mr. Seturi underlined the need to digitalise both private and public services, and the importance of the state's support in that regard;

The importance of IXP becoming operational beginning from 2022 was underlined.

## პანდემიით ინსპირირებული ინოვაციები და პერსონალური მონაცემების დაცვა

## Pandemic-Inspired Innovations and Personal Data Protection

სესიის დასაწყისში მან მადლობა გადაუხადა პანელის მონაწილეებს და პანდემიით ინსპირირებული ინოვაციების და პერსონალური მონაცემების დაცვის ონლაინ სესიას მოდელირება გაუწია **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსმა**, ქალბატონმა **სოფიო ჭარელმა**. სესიის დასაწყისში მან მადლობა გადაუხადა პანელის მონაწილეებს და საზოგადოებას განსახილველი თემები გააცნო. ასევე, მოკლედ ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც მსოფლიო Covid 19-ის გავრცელებასთან ერთად დადგა. ქალბატონმა სოფიომ ყურადღება გაამახვილა, იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო სტრუქტურების ძირითადმა ნაწილმა ონლაინ მუშაობა დაიწყო. გამოსვლის ბოლოს, მან სიტყვა

Online session on pandemic-inspired innovations and protection of personal data was moderated by Ms Sophio Chareli, Head of the Administrative Department at the State Inspector's Service of Georgia. She began by thanking the panelists and introduced topics of discussion. She also briefly outlined the challenges that the world is facing as a result of the coronavirus outbreak. Ms. Chareli focused on the importance of protecting personal data, especially when some entities have started working online/remotely due to the pandemic restrictions. Lastly, she gave the floor to Educational Management Information System (EMIS) chief information security manager, Mr. Giorgi Gvasalia.

გადასცა “განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის” ინფორმაციული უსაფრთხოების მთავარ მენეჯერს.

ბატონმა **გიორგი გვასალიამ** თავის მოხსენებაში ონლაინ განათლებაზე და დისტანციურ სწავლებაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, პანდემიამ საჭირო გახადა მოსწავლეებისთვის შეეთავაზებინათ Microsoft Teams-ი, რადგან მათთვის ონლაინ გაკვეთილებზე დასწრება მარტივი ყოფილიყო. ასევე, სექტემბერ-ოქტომბრის სტატისტიკაზეც ისაუბრა და აღნიშნა, თუ რამდენი მომხმარებელი ჰყავს ყოველთვიურად პლათფორმებს. ბატონმა გიორგიმ, ხაზი გაუსვა ონლაინ და მობილური აპლიკაციის მნიშვნელობას, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ნებისმიერ დროს თვალი ადევნონ მიღებულ შეფასებებს, სასწავლო პროცესის დღის წესრიგს და სხვა. მან მადლობა გადაუხადა ინსპექტორის სამსახურს გაწეული დახმარებისთვის, რადგან ონლაინ ჟურნალი საფრთხეს არ უქმნის მოსწავლეების პერსონალური მონაცემების დაცვას. გამოსვლის ბოლოს, მან ჩატარებულ ღონისძიებსა თუ გაცემულ რეკომენდაციებზე ისაუბრა, რომელიც მოსწავლეების და მასწავლებლების პერსონალური მონაცემების დაცვას ემსახურება.

**დაავადებათა კონტროლის ცენტრის უფროსის მოადგილემ** ბატონმა **ალექსანდრე ტურძილაძემ** თავის გამოსვლაში გამოყო ოთხი ძირითადი მომართულება, რომლებზეც დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა იმუშავა. ესენია: კოვიდ ტესტირება, ვაქცინაციის პროცესის ორგანიზება, მწვანე სტატუსთან დაკავშირებული სამუშაოები და პანდემიის შემდეგ ბიზნესის ამუშავება. მან დეტალურად ისაუბრა თითეულ საკითხთან დაკავშირებულ გამოწვევასა თუ პრობლემებზე. ასევე, საზოგადოებას გააცნო ის ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებსაც პანდემიასთან ბრძოლისთვის იყენებდნენ. ამასთან დაკავშირებით, მან ხაზი Gerogia E-Health აპლიკაციას გაუსვა

და აღნიშნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის როლი პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

